

პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მიღევადი)

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება - პრაქტიკოსი ექთანი

2. პროფესიული განათლების საფეხური - მეხუთე

3. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

4. პროგრამის მოცულობა - 150 კრედიტი.

5. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - პროფესიული ტესტირების შედეგები.

6. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი - პროგრამა მიზნად ისახავს პრაქტიკოსი ექთნის (მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია) მომზადებას, რომლის დანიშნულებას წარმოადგენს:

- მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების დაცვა ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნების, ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის და დაავადებათა პრევენციის გზით;
- ავადმყოფთა, უნარშეზღუდულთა და ტერმინალურ პაციენტთა მოვლა/მართვა.
- საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო და ქცევითი მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენების საფუძველზე მოსახლეობის ჯანდაცვის მუდმივად ცვლად საჭიროებებსა და ახალ გამოწვევებზე ადექვატური რეაგირება;
- ეთიკური, მზარდი ხარისხის, კომფორტული და უსაფრთხო პრაქტიკის წარმოება;
- კომუნიკაციური უნარების ადექვატური გამოყენება;
- საექთნო დახმარების შეფასებაში, გეგმისა და სტრატეგიის შემუშავებაში და შემდგომ კორექტირებაში სრულფასოვანი მონაწილეობა მულტიდისციპლინური სამედიცინო გუნდის წევრებთან, კლიენტთან/პაციენტთან და მის ახლობლებთან თანამშრომლობის გზით;
- კრიზისულ სიტუაციებში დროული და ეფექტური მოქმედება;
- საექთნო ფუნქციების ადექვატური დელეგირება;
- სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოება, შენახვა, დაცვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში - გავრცელება;
- ლიდერის თვისებების გამოვლენა;
- კლინიკურ და ეთიკურ გადაწყვეტილებებში მონაწილეობა;
- სიცოცხლის მანძილზე სწავლა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მზადყოფნა.

სწავლის შედეგები:

<p>1. ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>1.1 აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლსა და ფუნქციებს;</p> <p>1.2 იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები;</p> <p>1.3 იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები;</p> <p>1.4 იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება მასში;</p> <p>1.5 იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;</p> <p>1.6 იცის პაციენტთა ტრიაჟი, პირველადი საექთნო შეფასება და მონიტორინგი.</p> <p>1.7 ფლობს გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს (BLS, ACLS, PHTLS, ATLS)</p> <p>1.8 იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს;</p> <p>1.9 იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;</p> <p>1.10 იცის სხვადასხვა პროფილის პაციენტის საექთნო მოვლის ასპექტები</p> <p>1.11 იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები.</p>
<p>2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია:</p> <p>2.1 კლიენტის/პაციენტის ოპტიმალური, უსაფრთხო, კომფორტული და ეთიკური მოვლის/მართვის უზრუნველყოფა;</p>

	<p>2.2 კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი დაპირველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;</p> <p>2.3 კლიენტის/პაციენტის სიცოცხლესთან დაკავშირებული რისკების დროული შეფასება და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედების განხორციელება;</p> <p>2.4 პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;</p> <p>2.5 კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირების, გეგმის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის საფუძველზე.</p> <p>2.6 კლიენტის/პაციენტის მართვის გეგმით გათვალისწინებული სხვადასხვა ინვაზიური ჩარევებისა და არაინვაზიური პროცედურების წარმოება;</p> <p>2.7 მასზე დელეგირებული სამკურნალწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის განადგურება უსაფრთხოების წესების დაცვით;</p> <p>2.8 კლიენტის/პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა;</p> <p>2.9 კლიენტის/პაციენტის, მომვლელის ანდა ოჯახის წევრების ინფორმირება და განათლება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;</p> <p>2.10 სამედიცინო გუნდში ეფექტური და კოორდინირებული მუშაობა;</p> <p>2.11 დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა ფუნქციების ადექვატური დელეგირება;</p> <p>2.12 შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება;</p> <p>2.13 საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული</p>
--	---

	<p>ღონისძიებების ანდა იმუნიზაციის წარმოება;</p> <p>2.14 ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.</p>
<p>3. დასკვნის უნარი</p>	<p>3.1 შეუძლია დროულად ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან;</p> <p>3.2 შეუძლია ამოიცნოს კლიენტის/პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი – დამოუკიდებლად.</p>
<p>4. კომუნიკაციის უნარი</p>	<p>4.1 უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვის და სოციალურ მუშაკებთან, კლიენტებთან/პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით;</p> <p>4.2 ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს მშობლიურ და უცხოურ ენებზე წარმოებული ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით;</p> <p>4.3 იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის, შენახვისთვის და დაცვისთვის, ხოლო, საჭიროების შემთხვევაში, გადაცემისა და გავრცელებისთვის; აღნიშნული კომპეტენცია მას შეუძლია განხორციელოს როგორც მშობლიურ, ასევე უცხოურ ენებზე;</p> <p>4.4 უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. აქვს პრეზენტაციის უნარი.</p> <p>4.5 წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის</p>

	პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით.
5. სწავლის უნარი	<p>5.1 შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით.</p> <p>5.2 შეუძლია მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას.</p>
6. ღირებულებები	<p>6.1 მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ლოკალური საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად;</p> <p>6.2 მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას;</p> <p>6.3 კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს;</p> <p>6.4 აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.</p>

დასაქმების სფერო

პრაქტიკოსი ექთნის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს. აგრეთვე ჰოსპისებს, ეთიკურ კომიტეტებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ქვეყნის კანონმდებლობით განსაზღვრულ სფეროებს.

სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
საექთნო საქმის საფუძვლები						
ბიოლოგიური მეცნიერებები						
საინფორმაციო ტექნოლოგიები						
ჰუმანიტარული მეცნიერებები						
საზოგადოებრივი ჯანდაცვა						
დაავადების ბიოლოგიური საფუძვლები						
ჯანმრთელობის შეფასება და მოვლის პრინციპები						
თერაპიული პაციენტი						
ქირურგიული პაციენტი						
ქალთა ჯანმრთელობა, დედათა და ბავშვთა მოვლა						
პედიატრიული პაციენტი						
ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი						
გერიატრიული პაციენტი						
ონკოლოგიური და ტერმინალური პაციენტი						
კრიტიკული მედიცინა						

სასწავლო გეგმა

სემესტრის მოცულობა - 30 კრედიტი

კრედიტების ჯამური მოცულობა - 150 კრედიტი

ერთი კრედიტი შეესაბამება 30 ასტრონომიულ საათს.

N	მოდულის დასახელება	ჯამური კრედიტი	მოდულში შემავალი დისციპლინები	წილობრივი კრედიტი	საკონტაქტო საათები			
					პირველი სემესტრი		მეორე სემესტრი	
					საკ.	დამ.	საკ.	დამ.
1	საექთნო საქმის საფუძვლები 1	3	საორიენტაციო კურსი	1	18	12		
			ბიოეთიკა	2	34	26		
2	ბიოლოგიური მეცნიერებები 1	14	სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა	2	34	26		
			სამედიცინო ქიმია	2	34	26		
			სამედიცინო ბიოლოგია, გენეტიკა	3	50	40		
			ჰისტოლოგია, ციტოლოგია, ემბრიოლოგია	3	50	40		
			ანატომია	4	66	54		
3	ჯანმრთელობის შეფასება და მოვლის პრინციპები 1	6	ავადმყოფის ბაზისური მოვლა 1	6	130	50		
4	ჰუმანიტარული მეცნიერებები 1	7	პროფესიული ლათინური ენა	2	32	28		
			აკადემიური წერა	2	32	28		
			უცხოური ენა 1	3	50	40		
5	ბიოლოგიური მეცნიერებები 2	8	სამედიცინო ბიოქიმია	3			50	40
			ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები 1	3			32	58
			მიკრობიოლოგია	2			34	26
6	ჰუმანიტარული მეცნიერებები 2	6	ფსიქოლოგიის საფუძვლები	3			50	40
			უცხოური ენა 2	3			50	40
7	საინფორმაციო ტექნოლოგიები	9	კომპიუტერული ტექნიკის საბაზისო კურსი	3			34	56
			ბიოსტატისტიკის საფუძვლები	3			50	40
			ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები	3			34	56
8	ჯანმრთელობის შეფასება და მოვლის პრინციპები 2	7	ავადმყოფის ბაზისური მოვლა 2	7			182	28

N	მოდულის დასახელება	ჯამური კრედიტი	მოდულში შემავალი დისციპლინები	წილობრივი კრედიტი	საკონტაქტო საათები					
					მესამე სემესტრი		მეოთხე სემესტრი		მეხუთე სემესტრი	
					საკ.	დამ.	საკ.	დამ.	საკ.	დამ.
9	დაავადების ბიოლოგიური საფუძვლები	10	პათოლოგიური ანატომია	2	34	26				
			პათოლოგიური ფიზიოლოგია	2	34	26				
			ადამიანის ფიზიოლოგიის საფუძვლები 2	3	47	43				
			ფარმაკოლოგიის საფუძვლები	3	50	40				
10	საზოგადოებრივი ჯანდაცვა	6	ჯანდაცვის ორგანიზაცია	2	34	26				
			ზოგადი ჰიგიენა	2	34	26				
			ეპიდემიოლოგია	2	34	26				
11	ჯანმრთელობის შეფასება და მოვლის პრინციპები 3	14	დიაგნოსტიკის საფუძვლები	3	50	40				
			ავადმყოფის ბაზისური მოვლა 3	5	129	21				
			კლინიკური უნარ-ჩვევები	6	92	88				
12	თერაპიული პაციენტი	9	შინაგანი მედიცინა	4			66	54		
			თერაპიული პაციენტის მოვლა	5			142	8		
13	ქირურგიული პაციენტი	9	ზოგადი ქირურგია	4			66	54		
			ქირურგიული პაციენტის მოვლა	5			142	8		
14	ქალთა ჯანმრთელობა, დედათა და ბავშვთა მოვლა	6	მეანობა, გინეკოლოგია	3			50	40		
			დედათა და ბავშვთა მოვლა	3			82	8		
15	პედიატრიული პაციენტი	6	პედიატრია	3			50	40		
			პედიატრიული პაციენტის მოვლა	3			82	8		
16	ინფექციური პაციენტი	7	ინფექციური დაავადებები	3					50	40
			ინფექციური პაციენტის მოვლა	4					104	16
17	გერიატრიული პაციენტი	5	გერიატრია	2					34	26
			გერიატრიული პაციენტის მოვლა	3					74	16
18	მენტალური პაციენტი	4	ფსიქიატრია	2					34	26
			ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის მოვლა	2					54	6
19	ონკოლოგიური და ტერმინალური პაციენტი	7	ონკოლოგია	3					50	40
			ონკოლოგიური პაციენტის მოვლა, ჰოსპისი	4					104	16
20	კრიტიკული მედიცინა	7	კრიტიკული მედიცინა	3					50	40
			კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის მოვლა	4					104	16

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა (დატვირთვა)

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებს, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, სემინარებს, პროექტებს, სასწავლო -საწარმოო პრაქტიკას, გუნდურ და დამოუკიდებელ მუშაობას, შუალედური და დასკვნითი გამოცდის ჩაბარებას.

პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება

- კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ქვემოთ მოცემული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

შეფასების სისტემით დაშვებულია:

ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა
- (C) კარგი - 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - 51-60 ქულა.

ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (Fx) ვერ ჩაბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საგნის/სასწავლო კურსის/მოდულის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია;
- დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:
 - შუალედურ შეფასებას;
 - დასკვნითი გამოცდის შეფასებას.
- პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სწავლების მეთოდები:

- **სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდები** – გულისხმობს სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტიურ ჩართვას და მოიცავს შემთხვევათა სწავლებას, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, ემპირიულ (როლთა განაწილება, სიმულაცია, თამაში) სწავლებას, სემინარებსა და პროექტებს.
- **პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება**
- **სწავლა გამოცდილებით** – გამოიყენება ძირითადად კლინიკური სწავლების პერიოდში. მისი არსი არის სწავლა გამოცდილების შექმნის გზით, მის საფუძველზე. ეს არის მიზანმიმართული აქტივობის პროცესი და მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - კლინიკური პრაქტიკული გამოცდილება – აღწერა იმისა, თუ რა მოხდა;
 - შეგრძნებები – ის, რასაც ფიქრობს და შეიგრძნობს სტუდენტი;
 - შეფასება – რა არის კარგი და რა არის ცუდი მიღებულ გამოცდილებაში;
 - გამოცდილების ანალიზი – რატომ იყო ესა თუ ის გამოცდილება კარგი ან ცუდი;
 - დასკვნა – კიდევ რა შეეძლო გაეკეთებინა ან არ გაეკეთებინა სტუდენტს შედეგის გასაუმჯობესებლად?
 - შემდგომი პრაქტიკის სამოქმედო გეგმა – რას მოიმოქმედებს სტუდენტი მსგავსი სიტუაციის კვლავ აღმოცენების შემთხვევაში?

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები და მასწავლებლები (მოქმედი პრაქტიკის ექთნები)

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

პრაქტიკოსი ექთნის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სიმულაციური კლასები, საუნივერსიტეტო და აფილირებული კლინიკები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა:

უმალესი განათლების პირველი საფეხური- ბაკალავრიატი.